

**მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე (RFA)**

**No. 085-3002E-004-S-2019**

**გამოქვეყნების თარიღი: 2019 წლის 23 აპრილი**  
**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 2019 წლის 22 მაისი**

ძვირფასო აპლიკანტო:

*USAID ზრდა პროექტი საქართველოში (ზრდა პროექტი), რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინტერნეიშენალი (Chemonics International), საგრანტო კონკურსის ფარგლებში აცხადებს აპლიკაციების მიღებას სათავგადასავლო ტურიზმის ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შესაქმნელად. აღნიშნული აქტივობა ითვალისწინებს ადგილობრივი თემების აქტიურ ჩართულობას და დაეხმარება ტურ-ოპერატორებს პაკეტების დივერსიფიცირებაში, უკვე არსებულ პროდუქტებში ახალი მომსახურებების დამატების გზით. გაიცემა და განხორციელდება მინიმუმ 1 გრანტი USAID/ზრდა პროექტის გრანტების მართვის შიდა პოლიტიკის, USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო რეგულაციების შესაბამისად.*

აპლიკანტებს შეუძლიათ შეკითხვები გამოაგზავნონ წერილობითი სახით ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge); შეკითხვების გამოგზავნის ვადაა **2019 წლის 12 მაისი, 18:00 სთ.** ზრდა პასუხს გასცემს ყველა რელევანტურ შეკითხვას და გამოაქვეყნებს ზრდას ფეისბუქის გვერდზე ან ვებ-გვერდზე: [www.zrda.ge](http://www.zrda.ge) არაუგვიანეს **2019 წლის 15 მაისისა.** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ არ მოხდება კითხვებზე პასუხების ინდივიდუალურად გაგზავნა.

ასევე, დაინტერესებულ აპლიკანტებს საშუალება ექნებათ დასვან კითხვები და მიიღონ მითითებები აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებით ზრდა პროექტის თბილისისა და რეგიონალურ ოფისებში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

- ზუგდიდი - რ. ლალიძის ქუჩა #3, 2019 წლის 6 მაისი, 15:00 სთ**
- ახალციხე - წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა #21ა, 2019 წლის 7 მაისი, 14:00 სთ**
- ბორჯომი, სასტუმრო „ბორჯომის ხეობა“, 2019 წლის 8 მაისი, 11:00 სთ**
- ახმეტა - ლესელიძის ქუჩა #36, 2019 წლის 10 მაისი, 14:00 სთ**
- თბილისი - ნინო რამიშვილის ქუჩა, 1-ლი ჩიხი #9, 2019 წლის 13 მაისი, 16:00 სთ**
- მარნეული - რუსთაველის ქუჩა #48, 2019 წლის 13 მაისი, 16:00 სთ**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზრდა არ ანაზღაურებს საინფორმაციო შეხვედრაზე დასასწრებად გაწეულ ხარჯებს.

ზრდა პროექტის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ, ხოლო აპლიკანტებს ეკრძალებათ შესთავაზონ მათ ფული, საკომისიო, გასამრჯელო, წილი, საჩუქარი, ფულადი საჩუქარი, ღირებული ნივთი ან კომპენსაცია იმის სანაცვლოდ, რომ დაუმსახურებლად მოიპოვონ ან მიიღონ ხელსაყრელი პირობები აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. პროექტის თანამშრომლისგან ნებისმიერი შეუფერებელი მოთხოვნის შესახებ უნდა ეცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ან გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე - [BusinessConduct@chemonics.com](mailto:BusinessConduct@chemonics.com).

ქვემოთ მოცემულია დანართების სია, რომლებიც უნდა წარმოადგინოთ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად:

**დანართების ჩამონათვალი:**

- დანართი A - განაცხადის ფორმა;
- დანართი B - აპლიკანტის თვითგადასახელების ფორმა;
- დანართი C - მოთხოვნილი სერტიფიკატები;
- დანართი D - ზრდა პროექტის სამიზნე რეგიონებისა და თემების სია (არ არის საჭირო ამ დოკუმენტის დართვა წარმოდგენილი განაცხადისთვის).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, გთხოვთ, განაცხადს დაურთოთ თქვენი კომპანიის რეგისტრაციის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისი ძალის მქონე დოკუმენტი და გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობა.

**სექცია I. პროგრამის აღწერა**

**IA. მიზანი**

სოფლის და სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა გლობალური ეკონომიკის განვითარების კონტექსტში. ამ ტიპის ტურიზმის განვითარება სოფლის რაიონების დახმარების მთავარ გზად მიიჩნევა რაიონებიდან ქალაქებში მიგრაციის ტალღებისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისის შესანელებლად; ამავდროულად, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებას. სოფლის ტურიზმი ბაზარზე მნიშვნელოვან ნიშას იკავებს და საქართველოს მზარდ ბაზარზეც ახალ საბაზრო შესაძლებლობებს სთავაზობს. სათავგადასავლო ტურიზმი სოფლის ტურიზმის შემადგენელი ნაწილია და ახალი შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით, ტურისტების სოფლის გარემოში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. საქართველოში სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის უზარმაზარი პოტენციალი და რესურსები ადგილობრივ თემებს ფართო სპექტრის, უნიკალური, მაღალმოთხოვნადი პროდუქტების / მომსახურებების განვითარებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს. ზრდა აცხადებს განაცხადების მიღებას ზრდას

სამიზნე თემებიდან სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის სექტორში ჩართული სუბიექტებისთვის სოფლის ტურიზმის კონცეფციის პოპულარიზების, ბაზარზე ახალი პროდუქტების შექმნისა და სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოდან შემოსავლების ზრდის მხარდაჭერის მიზნით.

## **IB. ზრდა პროექტის შესახებ**

*ზრდა პროექტი საქართველოში* არის USAID-ის მიერ დაფინანსებული 5-წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინტერნეიშენელი (Chemonics International). პროექტის მიზანია ადგილობრივი სუბიექტების კვალიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ბიზნეს კავშირების გაძლიერება მოწყვლადი ოჯახებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებამდე (MSMEs), რათა მათ შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ზრდასა და სამიზნე თემების მდგრადობის გაძლიერებაში. *ზრდა პროექტი* ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) ზრდა-განვითარებას, გაზრდის სოფლის მეურნეობების შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობებს და წახალისებს მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საბაზრო კავშირების დამყარებას საბაზრო ეკონომიკის გაძლიერების მიზნით. შედეგად, *ზრდა* გაზრდის შემოსავლებს როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ისე საოჯახო მეურნეობებისთვის, შექმნის სამუშაო ადგილებს და აამაღლებს ცხოვრების დონეს სამიზნე თემებში.

## **IC. პროგრამის დეტალური აღწერა**

*ზრდას* სურს მხარი დაუჭიროს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, ტურისტულ კომერციულ ორგანიზაციებს (არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასოციაციებს და ა.შ.) და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომელთაც აქვთ ინოვაციური იდეები და სჭირდებათ ხელშეწყობა სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების შესაქმნელად და ბაზარზე გასატანად და/ან არსებული მომსახურებების/პროდუქტების გასაუმჯობესებლად, რათა მოერგონ საერთაშორისო სტანდარტებს. შედეგად, ეს ინიციატივა დაეხმარება სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის სექტორში ჩართულ სუბიექტებს მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორის მოზიდვაში, ხოლო მრავალფეროვანი და მიმზიდველი პროდუქტებისა თუ მომსახურებების შეთავაზებით გაზრდის გაყიდვების რიცხვს, ასევე დასაქმების შესაძლებლობებს ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში *ზრდას* სამიზნე რეგიონებში.

გამოცხადებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სოფლისა და სათავგადასავლო აქტივობები მიზნად ისახავს, რომ ვიზიტორებმა დაამყარონ პირადი კონტაქტები, მიიღონ რეალური გამოცდილება სოფლის ტიპის დასახლების ფიზიკურ გარემოში, მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროდუქტების/მომსახურების მიწოდებაში, ეზიარონ და გაეცნონ რეგიონის ტრადიციებსა და ადგილობრივების ცხოვრებას; ამასთანავე, ტურისტებს შესთავაზოს მრავალფეროვანი, მსუბუქი და რთული სათავგადასავლო რეკრეაციული შესაძლებლობები.



ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ პროექტები შემდეგი კატეგორიების შესაბამისად:

- **სათავგადასავლო საცალო გაყიდვებისა და გაქირავების ბიზნესი** (მაგ. კემპინგის, სალაშქრო, სამთო ველორბოლის და/ან სხვა აღჭურვილობის გასაქირავებელი ბიზნესები);
- **სპორტული აღჭურვილობა და ბუნებაში დასვენებისთვის საჭირო მოწყობილობით მომარაგებისა და/ან მომსახურების მიწოდება** (რაფტინგი, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, კემპინგი, გიდის მომსახურება და ა.შ.)
- **სათავგადასავლო ტურიზმის გართობის სერვისები** (მაგ. ადგილობრივი/ტრადიციული წარმოების პროცესებზე, როგორცაა თევზაობა, დაკვირვება და მონაწილეობა; ღია ცის ქვეშ წვეულება/საუზმე-ლანჩი; ვიზიტორზე მორგებული აქტივობები ფერმაში, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შინაური საქონლის გაკრეჭას, მოწველას და სხვ.; მეცხოველეობა და საკუთარი ხილ-ბოსტნეულის მოკრეფა; საგანმანათლებლო/კულტურული ტურები და ა.შ.)
- **გასტრონომია და ღვინის დაყენების აქტივობები**, რაც ტურისტებს საშუალებას მისცემს სოფლის გარემოში მონაწილეობა მიიღონ უნიკალური კერძების დამზადებისა და ღვინის დაყენების პროცესებში.
- **სხვა და/ან მსგავსი აქტივობები**, რაც კონკრეტულად ამ კატეგორიებში შესაძლოა არაა მოხსენიებული, მაგრამ განიხილება მყარი დასაბუთების შემთხვევაში. მაგალითად, ის საქმიანობები, გარდა განთავსებაზე ორიენტირებული ბიზნესებისა, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, რომლებიც ოპერირებენ ისეთ მიწოდების რგოლში რომელიც უკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში მოქმედ ბიზნესებს. თუმცა აღნიშნული კავშირი უნდა იყოს მყარად დასაბუთებული.

**შენიშვნა:** არ განიხილება ისეთი პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია სასტუმრო ბიზნესების (როგორცაა საოჯახო სასტუმროები და მცირე ზომის სასტუმროები) ჩამოყალიბებაზე ან გაფართოებაზე. ხოლო არსებული ბიზნესებიდან, ვისაც სურს ახალი ან დამატებითი სერვისის შეთავაზება ზემოთ მოცემული კატეგორიებიდან, შეუძლიათ განაცხადი გააკეთონ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე.

გრანტის ფარგლებში ნებადართული ხარჯების მაგალითები, თუმცა არ მოიცავს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილს:

- ავეჯი და დეკორაციები არასასტუმრო ბიზნესისთვის (ღვინის მარნები, ლუდსახარშები და ა.შ.)
- სპორტული საქონელი და აღჭურვილობა (გასაბერი სამაშველო ნავი და შესაბამისი აღჭურვილობა, უნაგირები და აქსესუარები, კარვები, ზურგჩანთები, სამთო ველოსიპედები, ტანსაცმელები, ჩაფხუტები და უსაფრთხოების სხვა სახის აღჭურვილობა და ა.შ.)



- გენერატორები, მზის პანელები, საწარმოო დანადგარები და აღჭურვილობა ან სხვა მცირე ზომის ელექტროენერჯის წარმოების სისტემები, რაც აუცილებელია სპორტული და რეკრეაციული ბანაკებისთვის.
- ციფრული და ბეჭდვითი მარკეტინგის მასალები არსებული ან ახალი პროდუქტის/მომსახურებისთვის, მათ შორის ვებ-გვერდის, ბრენდიგი/ლოგოს შექმნა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები.
- სხვა სახის აღჭურვილობა რაც არ არის მოცემული ჩამონათვალში თუმცა აუცილებელია პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

ზრდას მიერ არ დაფინანსდება ქვემოთ ჩამოთვლილი საგნები, თუმცა შესაძლოა პროექტში მოხსენიებული იყოს აპლიკანტის თანამონაწილეობის ნაწილში:

- ინფრასტრუქტურის ან მშენებლობის ხარჯები, მათ შორის სამშენებლო მასალები;
- ნებისმიერი ტიპის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები (ავტომობილები, მოტოციკლები, მოტონავები და ა.შ.);
- ცოცხალი პირუტყვი.
- ალკოჰოლის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ნივთი,

ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, გრანტის მიმღები ვალდებულია **ზრდას** მიაწოდოს შემდეგი მასალები:

- ✓ დეტალურად გაწერილი განხორციელების გეგმა, მათ შორის შესაქმნელი / დასახვეწი / გასაუმჯობესებელი პროდუქტის / მომსახურების აღწერილობა; პროდუქტის / მომსახურების მიწოდებაზე გათვლილი სავარაუდო ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯები; რენტაბელობის პროგნოზი ( 1-დან 3 წლამდე); დასაქმების შესაძლებლობები - ახალი სამუშაო ადგილების სავარაუდო მოთხოვნები; პროექტის ხანგრძლივობა; ადგილმდებარეობა; მეთოდოლოგია და მთლიანი ბიუჯეტი.
- ✓ იმ მასალების, ინტელექტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებებისა და/ან აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვასაც გეგმავთ.  
**შენიშვნა:** აპლიკანტმა უნდა მიუთითოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურებების/აღჭურვილობის შექმნა საქართველოში; აღჭურვილობის გამოწერისა და მისი საქართველოში ჩამოტანის საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მოიძიოს და მიუთითოს სასურველი მომწოდებლები მხოლოდ აშშ-დან, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა აშშ-ში შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება არ იწარმოება.
- ✓ დეტალურად შედგენილი მარკეტინგის სტრატეგია და მდგრადი განვითარების გეგმა. დოკუმენტები უნდა ასახავდეს პროდუქტის/მომსახურების პოპულარიზების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებს სამიზნე აუდიტორიის მოსაზიდად და აღწერილი პროდუქტის/მომსახურების კომერციული სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა: გრანტის მიმღებმა ზემოხსენებული მასალები უნდა წარადგინოს პროექტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

## **ID. ნორმატიული / მარეგულირებელი რეგლამენტები**

ზრდა პროექტის გრანტები ეფუძნება აშშ-ის საგარეო საქმეთა შესახებ კანონისა და USAID-ის წინასწარი დირექტივების სისტემას (ADS). ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ [ADS თავი 303](#)-ის საფუძველზე წარმოდგენილი მითითება, „გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ და დაექვემდებარონ USAID-ის სტანდარტულ დებულებებს „აშშ-ის არარეზიდენტი არასამთავრობო გრანტების მიმღებებისთვის“, ასევე *USAID/ზრდას* გრანტების გაცემის შიდა პროცედურებს.

ADS 303 მიუთითებს დამატებით მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამოსცა აშშ-ის მთავრობის მართვისა და ბიუჯეტის სამმართველომ (OMB) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

2 CFR 200 „[ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები, თვითღირებულების პრინციპები, და აუდიტური მოთხოვნები ფედერალური კონტრაქტებისთვის](#)“, ქვე-ნაწილი E (აშშ-ის აპლიკანტები მთლიანად ექვემდებარებიან 2 CFR 200-ს).

2 CFR 200 სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200\\_main\\_02.tpl](http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl)

ზრდამ უნდა უზრუნველყოს, რომ USAID-ის გრანტის მიმღები ყველა ორგანიზაცია ასრულებს ზემოთხსენებულ მითითებს, მათი გრანტების პირობებისა და დებულებების შესაბამისად.

USAID უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ზრდა პროექტის უფლებამოსილება გრანტების გაცემის ნაწილში.

## **ნაწილი II. ინფორმაცია გრანტის გაცემის შესახებ**

**ბიუჯეტი:** აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ბიუჯეტი მთელი აქტივობისთვის, მათ შორის ტრენინგის (თუკი შეესაბამება), აღჭურვილობის შესყიდვისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. თითოეული გრანტისთვის, *ზრდა პროექტის* საგრანტო თანხა აქტივობის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის მაქსიმუმ **75%-ს / 26,000 ლარს** უნდა შეადგენდეს. *USAID/ზრდა პროექტი საქართველოში* გეგმავს ჯამში **260,000 ლარის** მოცულობის რამდენიმე გრანტის გაცემას. შესაძლოა, *ზრდამ* დაამტკიცოს პროექტები, რომლებმაც მთლიანი ფინანსური რესურსის გამოყენება მოითხოვოს, თუმცა *ზრდა* ვალდებული არაა სრულად დახარჯოს აქტივობისთვის გამოყენებული ბიუჯეტი. *ზრდა პროექტი* თავად განსაზღვრავს დამტკიცებული პროექტების



ღირებულებასა და რიცხვს. არასაკმარისი განაცხადების მიღების ან მიღებული განაცხადების შემთხვევაში, თუ სრულად არ იქნება ათვისებული ამ აქტივობის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, *ზრდამ* შეიძლება თავიდან გამოაცხადოს მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე ან გაახანგრძლივოს განაცხადების მიღების ვადა.

**აპლიკანტის ფინანსური კონტრიბუცია:** ყველა აპლიკანტი ვალდებულია თავად დაფაროს მთლიანი საგრანტო აქტივობის ბიუჯეტის **სულ მცირე 25%, მხოლოდ ფულადი შენატანის** სახით. ბიუჯეტში ნათლად და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რომელი ხარჯი ანაზღაურდება *ზრდას* გრანტით და რომელი აპლიკანტის კონტრიბუციით. კონტრიბუცია უნდა იყოს სრულად დოკუმენტირებული ინვოისებითა და სხვა დამატებითი საბუთებით, რომელთა წარდგენაც შესაძლოა მოითხოვოს *ზრდამ*. ბენეფიციარი ვალდებულია გაწიოს ფინანსური კონტრიბუცია *ზრდა პროექტის*გან ფინანსური მხარდაჭერის მიღებამდე ან *ზრდის* მიერ მისთვის აღჭურვილობის შექმნამდე. *ზრდა* არ დაუშვებს, რომ ბენეფიციარის კონტრიბუცია დაიხარჯოს აღჭურვილობის ერთი ერთეულის შესყიდვაზე იმგვარად, რომ *ზრდამ* დააფინანსოს აღჭურვილობის ღირებულების 75%, ხოლო დანარჩენი 25% - ბენეფიციარმა. *ზრდას* წილით სრულად უნდა დაიფაროს მოთხოვნილი მასალების ღირებულება და ბენეფიციარმა თავისი შენატანით სრულად უნდა დაფაროს თავისი მასალების ღირებულება - არ მოხდება ერთი მასალის ხარჯის გაყოფა.

**ვადები და ხანგრძლივობა:** *ზრდას* გათვლებით წარმატებული აპლიკანტების შერჩევისა და გრანტების ხელშეკრულებების გაფორმება მოხდება **2019 წლის 15 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით**. საგრანტო პერიოდად გათვლილია მაქსიმუმ **6 თვე**. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაახანგრძლივდეს საგრანტო პერიოდი 9 თვემდე - მსგავსი მოთხოვნა მყარად უნდა დასაბუთდეს აპლიკაციაში.

გრანტის ტიპის განსაზღვრა მოხდება მოლაპარაკებების პროცესში.

**ნაწილი III. კონკურსზე დასაშვებ აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები**

- აპლიკანტი უნდა იყოს დარეგისტრირებული საქართველოში, როგორც კერძო კომპანია და სულ მცირე 51%-ით ქართულ მფლობელობაში;
- აპლიკანტი წარმოშობით უნდა იყოს *ზრდა პროექტის* სამიზნე რეგიონიდან (იხილეთ დანართი D) ან სახლობდეს სამიზნე თემების მიღმა, თუმცა ჰქონდეს ეკონომიკური კავშირი *ზრდას* ერთ ან მეტ სამიზნე თემთან - ამის დამამტკიცებელი შესაბამისი საბუთის წარდგენა აუცილებელია. სამიზნე თემთან ეკონომიკურ კავშირში შესაძლოა იგულისხმებოდეს ამ თემების მცხოვრებთა დასაქმება, სამიზნე თემებიდან პირველადი და/ან შუალედური საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა, სამიზნე თემებში ბიზნეს საქმიანობის წარმოება და/ან მსგავსი ეკონომიკური კავშირები, რომლებიც მყარად უნდა იქნას დასაბუთებული/ახსნილი აპლიკაციაში;

- განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ე.წ. „სტარტაპებსაც“ (დამწყები, ახალგაზრდა კომპანიები). მათ ნათლად უნდა წარმოაჩინონ, რომ ფლობენ წარმატებული, კომერციულად მომგებიანი პროდუქტის/სერვისის წარმოებისთვის აუცილებელ უნიკალურ მახასიათებლებს;
- აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის, კერძოდ სათავადასავლო და/ან სოფლის ტურიზმის, შესახებ სიღრმისეული ცოდნა განსაკუთრებით იმ რეგიონ(ებ)ში, სადაც თავად საქმიანობს;
- აპლიკანტს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა სათავადასავლო ტურიზმის დარგში, კერძოდ, პროდუქტის შექმნის, გუნდის მართვისა და მასპინძლობის მომსახურების კუთხით;
- კარგი რეკომენდაციები წარსული გამოცდილებიდან (კლიენტებისგან, მომწოდებლებისგან, პარტნიორებისგან ან სხვა შესაბამისი პირებისგან, რომლებიც დეტალურად იცნობენ ბიზნესის/ორგანიზაციის საქმიანობას);
- გრანტის მიღებამდე, აპლიკანტებმა ხელი უნდა მოაწერონ ამ მოთხოვნას დანართის სახით თანდართულ მოწმობებს და *ზრდა პროექტი* მათ წარმოდგენილ აპლიკაციებთან ერთად განიხილავს;
- ამ მოთხოვნის საფუძველზე გაცემული ნებისმიერი ისეთი გრანტის შემთხვევაში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ნატურით და/ან შეადგენს ან აჭარბებს 25,000 აშშ დოლარს, გრანტის მიმღებ პირებს მოეთხოვებათ, რომ საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტამდე წარმოადგინონ მონაცემთა უნივერსალური ნუმერაციის სისტემით (DUNS) მინიჭებული ნომერი. თუ აპლიკანტს უკვე აქვს DUNS ნომერი, ის მითითებულ უნდა იქნას განაცხადში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტები ვალდებული არიან, აიღონ ნომერი გრანტის მიღების მომენტამდე. *USAID/ზრდა პროექტი* დაეხმარება წარმატებულ აპლიკანტებს DUNS ნომრის მიღების პროცესში. ამ ნომრის მიღება შესაძლებელია ინტერნეტით შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://fedgov.dnb.com/webform/pages/CCRSearch.jsp>;
- წარმატებული აპლიკანტი იმუშავებს *USAID/ზრდა პროექტის* მარკირების და ბრენდინგის გეგმის შესაბამისად. ზემოხსენებული გეგმა დართული იქნება საგრანტო ხელშეკრულებაზე;
- რელიგიურ და საზოგადოებრივ ჯგუფებს დაფინანსების თანაბარი შესაძლებლობა ექნებათ წინასწარი დირექტივების სისტემის (ADS) 303.3.2-8-ში მოცემული მითითებების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ რელიგიური ორგანიზაციები ემსახურება დისკრიმინაციულ და რელიგიურ მიზნებს და გამოცხადებული გრანტის მიღების მთავარი ამოცანა რელიგიური ხასიათისაა.

#### ნაწილი IV. განაცხადის შევსება და წარდგენა

##### IVA. ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, გრანტის მიმღები ვალდებულია *ზრდას* მიაწოდოს შემდეგი მასალები:



1. დეტალურად გაწერილი განხორციელების გეგმა, მათ შორის ახალი სერვისის აღწერილობა, რენტაბელობის პროგნოზი (1-წლიანი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა), ახალი სამუშაო ადგილ(ებ)ის სავარაუდო მოთხოვნები, პროექტის ხანგრძლივობა და მთლიანი ბიუჯეტი;
2. იმ მასალების, ინტელექტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებებისა და/ან აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვასაც გეგმავთ –  
**შენიშვნა:** აპლიკანტმა უნდა მიუთითოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურებების/აღჭურვილობის შეძენა საქართველოში. აღჭურვილობის გამოწერისა და მისი საქართველოში ჩამოტანის საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მოიძიოს და მიუთითოს სასურველი მომწოდებლები **მხოლოდ** აშშ-დან, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა აშშ-ში შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება არ იწარმოება;
3. დეტალურად შედგენილი მარკეტინგის სტრატეგია და მდგრადი განვითარების გეგმა. დოკუმენტები უნდა ასახავდეს ახალი პროდუქტის/სერვისების პოპულარიზების მიზნით დაგეგმილ ნაბიჯებს სამიზნე აუდიტორიის მოსაზიდად და აღნიშნული პროდუქტის/მომსახურების კომერციული სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

გრანტის მიმღებმა ზემოხსენებული მასალები უნდა წარადგინოს პროექტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

#### IVA1. აპლიკანტის თვითშეფასება

გრანტის მიმღები ყველა ორგანიზაცია გაივლის წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცედურას, რომელიც ჩატარდება ზრდა პროექტის მიერ. ამ პროცედურის მიზანია იმის დადგენა, აქვს თუ არა ორგანიზაციას ის მინიმალური შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია აშშ-ის სამთავრობო სახსრების განკარგვისთვის. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმის შევსება არის პირველი ეტაპი წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცესში. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა მოცემულია დანართის სახით.

აპლიკანტებს, რომელთა განაცხადები *სრულადაა შევსებული* და აკმაყოფილებს ან აჭარბებს შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებს, მომდევნო ეტაპების შესახებ ეცნობებათ განაცხადის განხილვის პროცესში.

#### IVA2. საგრანტო განაცხადი

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საგრანტო განაცხადი და ბიუჯეტი თანდართული ფორმატების გამოყენებით და გაითვალისწინონ დანართში მოცემული ინსტრუქციები და მითითებები. *განაცხადის ფორმა* თან ახლავს ამ მოთხოვნას დანართებში.

ყველა საგრანტო ხარჯი უნდა ჯდებადეს აპლიკანტის სტანდარტული სამუშაო პროცესის ფარგლებში და შეესაბამებოდეს დაწერილ სტრატეგიებსა და პროცედურებს. იმ აპლიკანტებმა,



რომელთაც არ აქვთ აუდიტის მიერ დადასტურებული არაპირდაპირი ხარჯების განაკვეთი, თავიანთ აპლიკაციაში ბიუჯეტის ნაწილში შეიძლება მიუთითონ პირდაპირი ხარჯები, რომელსაც აპლიკანტი საკუთარ თავზე აიღებს განსაზღვრული ადმინისტრაციული და მენეჯმენტთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, რომლებიც შესაძლოა გრანტის მიზნებთან პირდაპირ კავშირში იყოს.

განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს აპლიკანტის უფლებამოსილი პირის მიერ.

**IVA3 ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ზრდა პროექტის მიერ:**

ზრდა პროექტის გრანტის ფარგლებში მიღებული სახსრები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობებისთვის:

- ცერემონიები, წვეულებები და სხვა პირადი სახის ღონისძიებები;
- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა;
- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო საქონელი, მოტოციკლები, ფარმაცევტული პრეპარატები და კონტრაგეპტივები, პესტიციდები, მეორადი აღჭურვილობა, USAID-ის წინასწარი ნებართვის გარეშე აშშ-ის მთავრობის ჭარბი ქონება და სასუქები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული საქონლის შესყიდვა აუცილებელია, ქემონიქსი ხელშეკრულების წარმომადგენლის მხრიდან დადასტურებას და აკრძალავს მიმღებისთვის ასეთი საქონლის შესყიდვის პროცესს;
- USAID-ის რეგულაციების მიხედვით აკრძალული საქონელი, მათ შორის და არა მხოლოდ სამხედრო და სათვალთვალს აღჭურვილობა, პოლიციის ან სამართალდამცავების აღჭურვილობა, აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ამინდის ცვლილების მოწყობილობა, ფუფუნების საგნები და აზარტული თამაშების აპარატურები;
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID-ის წარმოშობის/წარმოების ადგილის შესახებ რეგულაციისა (22 CFR 228) და სხვა სტანდარტული დებულებების შესაბამისად; ან იმ ქვეყნებიდან ან მომწოდებლებიდან, რომელიც შეტანილია USAID-ის მიერ განსაზღვრულ ჩამონათვალში უფლებამოსილება შეჩერებულ, აკრძალულ ან შეუსაბამო პირთა შესახებ შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.sam.gov>;
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება გრანტის იმ მიზნებს, ისე როგორც არის განსაზღვრული ქემონიქსის მიერ, მათ შორის გრანტის მიმღების სათავო ოფისის ხარჯები, რაც პირდაპირ კავშირში არაა აღნიშნული პროექტის განხორციელებასთან;
- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალები;
- საურავები და პირგასამტეხლოები;
- შემოწირულობების ფონდის ჩამოყალიბება;

- USADI-ისა და/ან ფედერალური რეგულაციების შესაბამისად, სხვა დაუშვებელი ხარჯები, როგორცაა ალკოჰოლური სასმელები. იხილეთ 2 CFR 200, ნაწილი E, „ღირებულებების პრინციპები“ და FAR 31.2 “ღირებულებების პრინციპები კომერციული ორგანიზაციებისთვის“
- არაპირდაპირი ხარჯები, როგორცაა, და არა მხოლოდ, საზედნადებო ან ირიბი დანამატები (სანამ აპლიკანტი არ წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტებს მსგავსი განაკვეთების შესახებ აუდიტის ან USAID-ის მიერ გაცემულ არაპირდაპირი ხარჯების განაკვეთის შეთანხმებულ ხელშეკრულებას (NICRA)). არაპირდაპირი ხარჯები არასდროს არის ნებადართული გამარტივებული გრანტების შემთხვევაში.

## IVB განაცხადის წარდგენა

განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე და მათი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს.

განაცხადების (ტექნიკური აპლიკაცია და ბიუჯეტის შეთავაზება და დამატებითი დოკუმენტაცია) წარდგენა/ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) და/ან ბეჭდური ფორმით ზრდა პროექტის ოფისში, შემდეგ მისამართებზე:

თბილისი - ნინო რამიშვილის ქ. 1-ლი ჩიხი #9

ზუგდიდი - რ. ლალიზის ქუჩა #3

ახალციხე - წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა #21ა

მარნეული - რუსთაველის ქუჩა #48

ახმეტა - ლესელიძის ქუჩა #36

განაცხადში აუცილებლად უნდა მიეთითოს მოთხოვნის (RFA) ნომერი **085-3002E-004-S-2019**.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2019 წლის 22 მაისი, 18:00 სთ ადგილობრივი დროით. დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.

## ნაწილი V. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

ყველა განაცხადი შეფასდება ზრდა პროექტის ტექნიკური ჯგუფისგან დაკომპლექტებული შიდა შეფასების პანელის მიერ; რეკომენდაციები შესაძლოა დეტალურად განხილულ იქნას უფრო დიდი ჯგუფის მიერ. წინასწარი გეგმები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით აქტივობის მენეჯერის მიერ.

სრული განაცხადები შეფასდება ცხრილში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კატეგორია	შეფასება (ქულა)
პროექტის მიზანშეწონილობა და ტექნიკური მიდგომა	15 ქულა
მართვის და განხორციელების შესაძლებლობა	25 ქულა
მდგრადობა / ფინანსური თვითმყოფადობა	25 ქულა
ხარჯთეფექტურობა	20 ქულა
წარსული გამოცდილება	15 ქულა
<b>მაქსიმალური ქულა</b>	<b>100 ქულა</b>

#### ნაწილი VI. ინფორმაცია გრანტის მიღებისა და ადმინისტრირების შესახებ

ყველა გრანტი ექვემდებარება საბოლოო მოლაპარაკებას, დაითვლება და გაიცემა *ქართულ ლარში*. გრანტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი უნდა იყოს დასაშვები, დათვლადი და გონივრული/მიზანშეწონილი. განაცხადებს თან უნდა ერთვოდეს დეტალური და რეალისტური ბიუჯეტი, როგორც ეს აღწერილია სექცია IV-ში.

წინამდებარე მოთხოვნის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში დახმარება არ გულისხმობს *ზრდა პროექტის* მიერ გრანტის გაცემას ან არ ავალდებულებს მას აპლიკანტების მიერ განაცხადის მომზადებასა და წარდგენაში გაწეული ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, *ზრდა პროექტი* უფლებას იტოვებს მიიღოს ან დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები განმცხადებლებისგან.